ფასი 7 კაპეიკი



Книжная и картинная торговля И. А. Арцеулова и С. Д. Майсуряна
ანგარიშები და მაისური
Г. Горн

ილუსტრირებული, იუმორისტული კარიკატურებიანი ჟურნალი



ქანქართა წყარო დაუშრეტელი.

დახოცილთა ხსოვნას.

ჯალათის ხელმა, გამწიკვლულ ხელმა,
მას გაუგმირა გულის ფიცარი...
იტირე, დედავ, შენი შვილია,
ჰა, ცივი ტანი! ჰა, სისხლის ღვარი!
ის მოდიოდა .. აღარ გაუშვეს.
დარჩა განზრახვა, წმინდა მიზანი.
იტირე, დედავ, შენი შვილია,
ჰა, მისი სისხლი! ჰა, მისი ტანი!
მაღალ მთა-გრაგნილს გლოვით შესტირე,
ცრემლით მორწყევი დაბლა ჭალაკი.
იტირე, დედავ, შენი შვილია,
საქვეყნო საქმის წმინდა ზვარაკი!
ჩუ! როიალმა დაიგრიალა!
იქ ბედნიერი ეძლევა ლხენას.
შენ კი იტირე,დედავ, მშობელო!
ნუ შეაჩერებ ცრემლების დენას!
ბედნიერება დღეს სხვებს ეკუთვნის,
ჩვენთვის—ხილია მიუწდომელი!
იტირე დედავ, ტანჯული შვილი!
ლოყას გაისვი, მშობელო, ხელი!
შენი ძე ამ წესს ვერ შეურიგდა:
ადგა, შეება უკანონობას,
მაგრამ დაეცა... იტირე ,დედავ!
თავი მიეცი მშობლიურ გრძნობას!
იტირე, ძმაო! იტირე, დაო!
ცრემლები ღვარე დედავ, მშობელო!
ცაო იჭექე მიწავ იგრგვინე!
გლოვით აივსე, წუთისოფელო!

ნ. ზომლეთელი.

ვ რ ე ს ს ა.

როდასაც ფეხებში ლურსმნებს უყრიდენ იესო მაცხოვარმა ღაღად ჰყო: „შეუნდე უფალო, რამეთუ არა იციან რასა იქმოდიანო“. ამ დიდებული მაგალითით გატაცებულ ცნობილ პოეტ **ვ. მასხულიას** ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო შესანიშნავი კაცთ-მოყვარული გრძნობით აღსავსე ლექსი დაუწერია გაზ. „ნიშადურში“. მისმა ლმობიერებამ იმდენათ მოგვიყიდა, რომ თუნდაც წვრილი ასოებით, მაინც უნდა წარვუდგინოთ ჩვენს მკითხველებს.

„მას დედასა ძუძუ ტკბილი
შხამთ�ა შერგებია“
და შხამ—გესლიანი სისხლი
ბალდამათ შეგუბებია,
რომლის წყეულმა ხელებმა
განგმირა მგოსნის გულია
და შარა—გზაზედ მიაგდო
უსულო, წამებულია!
გველ—ბაყაყები და ჭოჭო
იყოს მისთანა ზიარი,
იმათთან ჰქონდეს ერთობა,
დდე ვერ ენახოს მზიანი!
შმაგათ დაძრწოდეს ტყე—ველათ,
ჰკრთოდეს ფოთლასა შრიალზე‘
სადი კლდეც ბასუხს აძლევდეს
კრულვით მის მხეცურ დრიალზე!
თვისი აჩრდილის დანახვა
შიშის ზარს სცემდეს მუდამ;—
სისხლში მოსვრილი ხელები
არ მიიბაროს მიწამ!
ყვავ—ყორნის კერძი შეიქნეს
მისი ხორცი და სულია,—
ვინც ვერაგულათ, უაზროთ
მოგვიკლა ჩვენი ილია.

ხშირათ მიფიქრია იმის შესახებ, თუ ვისი შურის ძიება, როგორი ხასიათის ადამიანი მოჰკლავდა ილიას და სიკვდილის შემდეგ კიდევაც დაასახიჩრებდა მეთქი. დამერწმუნებით, რომ ამას ყველა მკვლელი ვერ იზამს. ზემოთ აღნიშნულმა ლექსმა, თუ ის ძალდატანებით დანაწერი არ არის, ცოტათ თუ ბევრათ დამისურათა იმგვარი ადამიანის ბუნება; მე მგონია, რომ აღნიშნული ლექსის ავტორი, სხვა პირობებში ჩამდგარი და პირადი მტრობით აღგზნებული არ შედრკებოდა თუნდაც უარესი საქმის წინაშე.

* * *

იმავე „ნიშადურში“ დაბეჭდილია მეორე სამგლოვიარო ლექსი **„ორინისა“**. ჩვენში მიღებულია: გინდა არ გინდა, შეგიძლია არ შეგიძლია მაინც ლექსი გამოს-

თქვა. ბ-ნი ორინიც რასაკვირველია ქართველი პოეტია და ილიას ულექსოთ ხომ ვერ დასტოვებდა, და აი დაუწერია კიდევაც.

ნიმუში:

შენი ჭირ-ლხინის მოზარე
და შენი გამომწვრთნილიო
ვინაც შენ შემოგალია
სიცოცხლე თვისი-ჩვილიო!

„ქართველი დედა“ დაბღუვის! და სხ.

ბევრი რამ გამიგონია ამ ქვეყანაში, მაგრამ „ქართველი დედა“ რომ „ბღუვოდეს“ ეს კი აღარ მსმენია. აქაო და საოხუნჯო გაზეთში ვწერო, მართლა რაც პირზე მოგადგებათ ის კი არ უნდა დასწეროთ. არც ის უშველის მგოსანს, რომ „პოეტი არ შეიძლება ეკუთვნოდეს, პარტიას ან ერს“. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ პოეტს ხომ უნდა ეკუთვნოდეს თუნდაც იოტის ოდენი ნიჭი პოეტობისა და ამდენივე ცოდნა ქართულისა?

ჰაი, ჰაი რომ უნდა ეკუთვნოდეს!

* *
*

„ჩვენი გზის“ მეცამეტე ნომერში მოთავსებულია „წერილი რედაქციის მიმართ“ ოზურგეთის მაზრის მისიონერის მელქისედეკ ნაკაშიძისა. წერილი ერთობ მრავალ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა

ამ ბოლო დროს ავმა ენებმა მართლაც რომ ყბად აიღეს დამსახურებული მისიონერის მოღვაწეობა და ვინ იცის რა ბრალს არა სდებდენ მას. ბ-ნი მელქისედეკი კი მუდამ, თანახმათ პეტრე მოციქულისა ამას ქადაგებს „შეიყვარე მოყვასი შენი ვითაარცა თავი თვისი და მტერისა შენისათვის იქმოდე კეთილსაო“. ჩვენი ხალხი კი არაფერს არ დაგიფასებს. გარდა ამისა ერთი კორესპოდენტი თურმე „კაპიტალის“ კრიტიკასაც კი სწამებდა პატივცემულ მისიონერს. ამაზე მელქისედეკი ჩვეულებრივის მოსწრებულობით და სიმკვეთრით უპასუხებს მოწინააღმდეგეს. „რუსული რომ არ ვიცი აბა მითხარი მარქსის „კაპიტალს“ კრიტიკას საიდან გაუკეთებდიო!“ ახირებული ხალხია ჩვენი კორესპოდენტები;

ამასთანავე მელქისედეკ ნაკაშიძემ ერთი შესანიშნავი ისტორიული გამოკვლევაც გამოაცხადა; სახელდობრ ისა, რომ „მარქსის კაპიტალსა და საზოგადოთ სოციალ დემოკრატებზე საღმრთო წერილში არაფერია ნათქვამიო.“ ჩვენ გვგონია, ეს ძლიერ ნაჩქარევი დასკვნაა და ამისათვის საჭიროა წმინდათა თანა მოსახსენებელი დეკანოზი ღამბაშიძის ნაწერების გადათვალიერება.

ჩვენ მეტის მეტათ და განსაცვიფრებელის სიამოვნებით მოგვეწონა აგრეთვე გურული მოციქულის შემდეგი ნამდვილი მოქალაქეობრივი გრძნობით ნაღაღადევი აღსარება: „მთავრობის საქციელის მოწონება თუ დაწუნება ჩემს მოვალეობას არ შეადგენს“. ო მაგრამ ეს თუ ასე „ცოდვათა მიტოვება“ ხომ შეადგენს მის მოვალეობას და მაშ შეუნდოს გურიის მისიონერმა იმ კორესპოდენტს, რომელმაც გაზეთი შეცდომაში შეიყვანა და თავისი გამოუცდელობისა გამო არ იცოდა თუ მისიონერის მოვალეობას შეადგენდა ავისა და კარგის გარჩევა.

სიზმრის ახსნა.

—

ტალახსა შიგან ვიდოდე და ფერხთა გეცხებოდეს არა რა. უბრალოა: ჟამსა რომელსა სანახაობა ესე ნიშნავს „ისართან“ პოლემიკასა; ჟამსა რომელსა მოასწავებს „სახალხო უნივერსიტეტის“ ლექციათა სმენასა; ხოლო სხვათა ჟამთა შინა ხილვა ზემორე აღნიშნულისა მოასწავებს მთავრობის დაპირებათა და აროდეს ასრულდების.

წყალსა ითხოვდე სასმელათ და ლაფსა გაძლევდენ წყალისა წილ. უბრალოა. სიზმარი ესე ჟამსა რომელსა მოასწავებს ბათუმად ცხოვრებას, ჟამსა რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსა ქუთაისად. სხვათა ჟამთა შინა სანახაობა ესე ნიშნავს ყოველდღიურსა მწერლობასა ჟამსა რეაქციისასა.

მზის დაბნელება იხილო ავია: ჟამსა რომელსა სანახაობა ესე მოასწავებს ძალთა ბნელთა გამარჯვებასა; ჟამსა რომელსა და მასთათანა მწერლობისა წილ სიზმარი ესე მოასწავებს „სუბსიდიის“ დაკარგვასა, ხოლო სხვათა ჟამთა შინა და პრესისა წილ სტამბის დატყვევებასა მოასწავებს

ყიყინი ისმინო ბაყაყთა: უბრალოა, ჟამსა რომელსა სანახაობა ესე მოასწავებს ბოქაულთა აგიტაციასა წინაშე სამწყსოისა თვისისა; ჟამსა რომელსა ისმინო კონცერტი ფილარმონიული საზოგადოებისა, ხოლო სხვათა ჟამთა შინა გაიგონებდე მისიონერთა ქადაგებასა.

მწერლობისა წილ სიზმარი ესე ნიშნავს სიტყვათა აყვავების ხანასა.

ცუდაცა ნახო ჯოხსა ზედან გაკიდული ფრინველთა საფრთხობელად— ავია: ჟამსა რომელსა, სიზმრისა შემდეგ ამისა მიიქცე პოლიციისა მიმართ. ჟამსა მეორესა და პირობათა სხვათა შინა სანახაობა ესე მოასწავებს შავთა-ძალთა ორგანიზაციასა; ხოლო სხვათა ჟამთა შინა თვინიერ ყოვლისა ეპვისა სიზმარი ესე ნიშნავს ქართული სცენის მსახიობთა სცენასა ზედან მდგომარეთა.

სარეკელი ნახო წისქვილისა აშვებულისა ერთგვარათ მორაკრაკე—უბრალოა: ჟამსა ყოველსა სანახაობა ესე მოასწავებს დიაცთა მოლვაწეთა ენა მეტყველობასა, რომლისა ხმიანობასა არა აქვს დასასრული.

ქალამანი ნახო ფრიად გაცვეთილი ვირისა ტყავისაგან ნაკვეთი უბრალოა: ჟამსა რომელსა სიზმარი ესე ადრე ახდების და მოასწავებს აზრთა უბადრუკთა „ისარის“ მეთაურისასა; ჟამსა მეორესა სანახაობა ესე მოასწავებს „ენაშხამიანსა“ წერალსა „ნიშადური“-სასა ბერიკად წოდებულსა; ხოლო სხვათა ჟამთა შინა სიზმარი ესე გამოხატავს თფილისის რუსულ გაზეთებსა, თანაარსს აზრითა თვისითა.

ჰაგის კონფერენციის შემდეგ.

მამასახლისის სიმღერა.

ჯიხაიშის მამასახლისს
ტვინიც დიდი მიძევს თავში,
თუმც ხალხმა არ დაუფასა
ჩემი შრომა, ჩემი დვაწლი.
ხუმრობა ხომ არ გგონიათ
ამ მიდეთი ხალხის ადგრდა?
ყველა მონა—მორჩილობდეს
მოხუცი და ახალგაზრდა!!
ველზე ჯაჭვი ჩამოშკიდეს
ოტნების სამხიარულო
ბევრი რამაც დამავალეს
სეკრეტი და საიდუმლო.
მეც შეუდექ გულ-მოდგინეთ
ავასრულე კიდეც ბევრი,
შინაური, გარეული
არვინ შემრჩა მადლიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობლები მეგობრები
ᲐᲣᲠᲘᲔ ერთმანეთსა
და ამითი ერთნაირი
ᲡᲐᲨᲕᲐᲓᲔᲑᲐ მეც მომეცა.
გავიხედავ დიდით ადრე:
ამ ჩემს კანტელარიაზე
ბუზებივით ირევიან
მომჩივანი, „მოატკაზე“.
ერთსაც „შტრაფი“, მეორესაც,
მესამესაც, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲐᲡᲔ
და ამგვარათ სადამომდე
ჩემი ქისა ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲒᲐᲕᲕᲡᲔ.
ᲐᲡᲣᲗᲘᲐ, მეგობრებო,
ᲡᲐᲔᲢᲚᲝ და ჩემი ᲑᲔᲓᲘ,
ᲯᲘᲑᲔᲡ ᲧᲣᲓᲘ მიხადისებს
ᲒᲣᲚᲡ იმედი; ᲒᲣᲚᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ!

აჯი-ბაბა.

მიჰქრის ეტლი.

ᲭᲣᲝᲜᲘᲔᲑᲘᲡ მეგობრული მიწერ-მოწერა.

წერილი ფარსადანს.

ძვირფასო მეგობარო! შორს მიმავალი მოგიძღვნი სალამს. მივდივარ მთაზე საზაფხულოთ. აბა თქვენიცით თუ როგორ ისახელებთ თავს.

შენი ფარსაკუკუ.

—

ერთი კვირის შემდეგ

ფარსაკუკუს.

პატივცემულო ფარსაკუკუ! სალამთან ერთად მოგიძღვნი გასახარელ ამბავს. ჩვენი რაზმი თავს დაესხა ზოგიერთ ჩვენ გამოთიშულ ამხანაგებს. სიკვდილით არავინ მოუკლავთ, ცემით-კი ბევრი ცემეს დარიგებისამებრ.

შენი ფარსადან.

—

ფარსადანს.

მაშ ჩვენი რაზმი დაიძრა?! ელისე ხომ არ გინახავს? მაგრათ იყავით, არ შეშინდეთ! საქმე კარგად მიდის! იმედია მალე აღმოვფხვრით გლეხთა ილლიუზიებს.

შენი ერთგული ფარსაკუკუ.

—

სამი დღის შემდეგ.

ფარსაკუკუს.

ყურობ შენ? ნახე რა აურ-ზაური ასტეხეს გლეხებმა ვიღაც ტურტლიანის გულიზა? მთავრობამაკ ყური აცქვიტა (უმადურნი!) ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔ არის საჭირო, რომ ჩვენს რაზმს აბრუ არ გაუტყდეს.

შენი ფარსადან.

—

ფარსადანს.

ეგ ვერაფერი სასიამოვნო ამბავი მომიტანა შენმა წერილმა, მაგრამ საქმეს მალე გამოვაწყობ. აი როგორ: საჭიროა რომ, ვინმე ჩვენთაგანი მოკვდეს; მაშინ გლეხებს ხმა ჩაუწყდებათ და მთავრობაც დარწმუნდება, რომ ნამდვილათ გლეხებმა მოკლესო. (ხომ იცი მემამულის მოკვლას ეხლა მთავრობა გლეხებს აბრალებს) როგორმე მოვიყიდოთ ვინმე გლეხი, და მოგვიკლას რომელიმე ჩვენთაგანი... აბა შენ იცი.

შენი ფარსაკუკუ.

—

ფარსაკუკუს.

გეთანხმები! შენ ფილოსოფოსის გოგრა გაქვს, ფილოსოფოსის! მარა ხათაბალა ის არის, სად უნდა ვიშოვოთ ისეთი გლეხი, რომ დავქრთამოთ და ვინმე ჩვენთაგანი მოვაკვლევინოთ? დამერწმუნე, რომ იმათში პატიოსანს ვერ შეხვდები კაცი. ისევ ჩვენებში ვშინჯოთ. ვეტყვი ელისეს.

შენი ფარსადან.

—

ფარსადანს.

არ უთხრა ელისეს. აქ ვიშოვე მკვლელი და მანეთადაც მოვურიგდი. მაგრამ ვინ მოვკლათ? მე მგონია კოტე აჯობებს.

შენი ფარსაკუკუ.

—

ფარსაგუგუს.

გეთანხმები! მისწერე.

ფარსადან.

—

კოწიას.

ᲣᲦᲠᲛᲔᲡᲐᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲙᲝᲬᲘᲐ! თქვენ ალბათ გეცოდინებათ, რომ ვინმე ჩვენთაგანი უნდა მოკვდეს; ეს სიკვდილი დაუფასებელი მსხვერპლი იქნება ჩვენი რაზმისათვის და უაღრესი განძი მის ისტორიაში. ჩვენ მეორე დღესვე გამოვაცხადებთ, რომ თქვენ გლეხების ხელმა მოგისპოთ ძვირფასი სიცოცხლე. თუ თანახმა ხართ გასწიროთ თავი, გამოვგზავნი მკვლელს. ᲑᲖᲐᲪᲜᲝᲑᲔ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲐᲗᲘ.

შენი ფარსაგუგუ.

—

ფარსაგუგუს.

ᲕᲤᲘᲪᲐᲕ ᲡᲘᲜᲘᲓᲘᲡᲡ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲕᲐᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲔᲑᲓᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲐᲖᲛᲡᲐᲪ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲮᲚᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲪᲐᲚᲘᲐᲜ. ᲛᲝᲛᲫᲔᲑᲜᲔᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲕᲘᲜᲛᲔ.

შენი კოწია.

—

გრიგოლს.

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲝ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘ! ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲤᲐᲡᲓᲐᲣᲫᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲗ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲛ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚ ᲦᲕᲘᲫᲚ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲨᲕᲘᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ. ᲨᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲑ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲒᲐᲡᲬᲘᲠᲐᲕ ᲐᲛ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲘᲡᲔ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲐᲗ ᲓᲐᲒᲛᲐᲠᲮᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲐᲗ ᲨᲔᲕᲐᲮᲓᲠᲘᲝᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲔᲑᲘ. ᲰᲐ! ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘ?

შენი ფარსაგუგუ.

—

ფარსაგუგუს.

ᲠᲐᲝ? ᲒᲐᲜᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲜᲐᲮᲔ? ᲛᲔ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲠᲐᲖᲛᲨᲘ ᲕᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲝᲛ ᲘᲪᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲥ. ᲐᲠᲐ ᲫᲛᲐᲝ, ᲩᲔᲛᲖᲔ ᲜᲣ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲡᲮᲕᲐ ᲔᲪᲐᲓᲔ ᲕᲘᲜᲛᲔ. ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ.

შენი გრიგოლი.

—

ფარსადანს.

ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲚᲐᲮᲐᲗᲐᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ. ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲬᲘᲠᲕᲐᲡ. ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲗ. ᲛᲝᲓᲘ ᲨᲔᲜ ᲒᲐᲑᲔᲓᲔ, ᲰᲐ? ᲨᲔᲜᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲛᲗᲔᲚ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲨᲔᲫᲠᲐᲕᲡ, ᲛᲗᲐᲡ-ᲛᲗᲐᲡ ᲨᲔᲐᲯᲐᲮᲔᲑᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲚᲝᲪᲐᲕ ᲮᲐᲢᲐᲓ ᲒᲐᲒᲮᲓᲘᲗ. ᲗᲣ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐ ᲮᲐᲠᲗ ᲛᲐᲪᲜᲝᲑᲔᲗ, ᲠᲠᲛᲔᲚ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲒᲐᲐᲮᲚᲝᲗ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ.

შენი ფარსაგუგუ.

—

ფარსაგუგუს.

ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ. ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲛᲔ „ᲒᲐᲩᲐᲠᲮᲣᲚᲘ“ ᲘᲧᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲔᲡ, ᲨᲔᲜᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲔᲓᲠᲔᲑᲐ! ᲨᲔᲜᲐ ᲮᲐᲠ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲝᲠᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲖᲛᲘᲡᲐ; ᲨᲔᲜᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚ ᲡᲐᲯᲛᲔᲚᲘᲕᲘᲗ ᲨᲔᲔᲠᲒᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐᲡ. ᲪᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲘᲦᲐᲦᲐᲓᲔᲑᲡ ᲨᲔᲜᲡ ᲡᲘᲬᲛᲘᲓᲔᲡ... ᲜᲐᲮᲕᲐᲛᲓᲘᲡ!

შენი ფარსადან.

—

ფარსადანს.

ᲣᲙᲐᲪᲠᲐᲕᲐᲗ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲥᲕᲔᲜᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲗ, ᲛᲔ ᲕᲐᲠ ᲗᲐᲕᲘ „ᲠᲐᲖᲛᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲣᲗᲐᲕᲝᲓ ᲮᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲝᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ. ᲘᲡᲗᲔᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲖᲛᲘᲪ. ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲔᲮᲚᲐ ᲓᲘᲓ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲛᲝᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔᲨᲘᲜᲘᲐ... ᲛᲝᲘᲗᲛᲘᲜᲔᲗ. ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲗᲣ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲔᲚᲘᲡᲔᲡ ᲬᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲠᲝᲛ: „ᲠᲐ ᲢᲙᲑᲘᲚᲘᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲢᲙᲑᲘᲚᲘᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲝ“. ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲡ? „ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲔᲮᲚᲐᲕᲔ ᲓᲐᲛᲔᲮᲣᲭᲝᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ, ᲛᲔ ᲛᲖᲐᲗᲐ ᲕᲐᲠᲝ“ ᲮᲝᲛ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲡ?

შენი ფარსაგუგუ.

—

ელისეს.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲡᲐᲠᲘᲪᲮᲐᲕᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲔᲚᲘᲡᲔ! ᲛᲝᲐᲦᲬᲘᲐ ᲓᲠᲝᲛ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲒᲔᲫᲚᲔᲕᲐᲗ, ᲗᲐᲕᲘ ᲨᲔᲡᲬᲘᲠᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲐᲖᲛᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲐᲑᲣᲩᲐᲗ ᲘᲒᲓᲔᲑᲔᲜ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ. ᲮᲕᲐᲚ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲘᲡᲔᲘᲠᲜᲔᲗ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲔᲚᲝᲓᲔᲗ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲡ. ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ.

შენი მორჩილი ფარსაგუგუ.

—

ფარსაგუგუს.

(ᲡᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ). ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲟᲔᲑᲣᲚᲮᲐᲠ? ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ. ᲛᲔ ᲔᲮᲚᲐ ᲐᲕᲐᲗᲐ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲪᲐᲕ ᲓᲐᲠᲨᲘ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ... ᲡᲣᲚᲔᲚᲝ, ᲛᲔ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲓ ᲕᲗᲥᲕᲘ ᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲜᲐᲮᲕᲐᲛᲓᲘᲡ.

შენი ელისე.

—

თეოფანეს.

თეოფანეჯან! შენ მაინც არ მოკვდები ჩვენი რაზმისთვინ?

შენი ფარსაგუგუ

—

ფარსაგუგუს.

აი შე ვირის თავო! მერე ვინ გაუძღვება ჩვენს რაზმს,

თეოფანე.

—

ფარსაგუგუს.

აი ესაა ვიყავი და ვინახულე უფროსი. გვირჩია, რომ აწი საჭირო აღარ არის ვისიმე მოკვლა. გესმის?

შენი ფარსადან.

გ ა მ ო ც ა ნ ა

—

ფოთიდან კაცი გავგზავნეთ,
კაცი სიტყვისა მთხრობელი,
თფილისში სიტყვა წარმოსთქვა
ცრემლითა შეუშრობელი.
შოვინისტურსა გულნადებს
ურცხვად მოხადა ფარდაო
და მედიდური, ყოყოჩით
ნიკობურგს ჩამოგვბარდაო.
ადვილათ იცნობთ ვინც არის,
ჭკვას თუ დაატანთ ძალასო,
გვსურს თავი უკრათ დუმაში
აგვაცდენს ხათაბალასო.

კაფე.

მესამე დუმის არჩევნები.

(„ისრის“ საგენტოს ცნობები)

ახალ-სენაკი. თავი მოიყარეს წვრილმა მემამულეებმა რწმუნებულების ასარჩევათ. წელს შარშანდელზე ნაკლები ხალხი დაესწრო არჩევნებს და აირჩიეს ერთი რწმუნებული, რომელიც თავის თავს ს. დემოკრატს უწოდებს.

ბაღდადი. 13 ენკენისთვეს შესდგა წვრილ მემამულეთა კრება რწმუნებულების ასარჩევათ. სოც. დემოკრატები ძლიერ ცდილობენ, მაგრამ კრებაზე ხალხი ვერ მოიყვანეს. დაასახელეს 19 კანდიდატი. ცოტად თუ ბევრად თვალ-საჩინო სოციალ-დემოკრატები გააშავეს. აირჩიეს პარტიის გარეშე მყოფნი. მათ შორის უმეტესობა მემარცხნეა ხოლო უმრავლესობა მემარჯვნე. ს. დ. გულდაწყვეტილი დაბრუნდენ.

ჩხარი. აირჩიეს სამი რწმუნებული. ერთი ს. დ. ერთი მემარჯენე, ერთი მემარცხნე და სამი ზომიერი.

ქუთაისი. 15 ენკენისთვეს მოხდა წვრილ მემამულეთა კრება. დაესწრო 46 კაცი. მიუხედავათ ს. დ. აგიტაციისა არჩევნებს არავინ ეკარება. არჩეულ იქმნა ერთი მოსოციალ დემოკრატ და ორი მოთავადაზნაურ ფედერალისტო რწმუნებული. მეორე კენჭის ყრაზე ისევ მოსოციალდემოკრატ ორი რწმუნებული აირჩიეს.

რაჭა. რაჭის მაზრაშიც ჩვენდა სასიხარულოთ ხალხი გულცივად ეკიდებოდა არჩევნების საქმეს და აირჩიეს სამი მოსოციალ-დემოკრატ რწმუნებული.

საჩხერე. ოთხ არჩეულ რწმუნებულთა შორის ურევია მგოსანი აკაკი წერეთელი.

ციხის ცხოვრება

——

სოხუმის ციხე შოთა რუსთაველის თქმულება:

„უხვად გასცემდე, ზღვასაცა
შესდის და გაედინების“

ჩვენს სატუსაღოებზე სავსებით არ ითქმის. სოხუმის ციხესაც „უხვათ შესდის“, მაგრამ, „მცირეთ გაედინების“. კარგა ხანია ოლქის უფროსი ეხოულობს ერთი სახლის დაქირავების ნება მისცეს ციხეში ტუსაღთა შესათხელებლათ, მაგრამ პასუხი არსად არის და ხომ გაგიგონიათ „ვიდრე პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გასძვრაო“. ვიხრჩვებით რაღა!

კოხი.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმის ციხე. მიუხედავათ მაღალ-კედლებიანი ეზოისა და უთვალავი მწყემსებისა, კვირას, 17 ეკენისთვეს, მაინც დაიკარგა ჩვენი სადგურიდან ერთი ცხოვარი. ვინ მოიტაცა, ვინ ჩაყლაპა, ცამ შეჭამა თუ დედამიწამ ჯერ ვერავის გაუგია. რამდენი ეძიეს, რამდენი ეძიეს ჩემო მკითხველო, მაგრამ ამაოთ და ათას-ჯერ ამაოთ.

სამაგიეროთ დანარჩენებს ახლა ისე გვიელიან და გვიფრთხილდებიან, როგორც თვალის კაკალს. კარებს იშვიათათ გვიღებენ, ჰაერზე ცოტა-ხანს გვაჩერებენ და მეთვალყურეებიც გაგვიმრავლეს. თუ ღმერთმა კარგათ გვიმყოფა ჩვენი უფროსი მწყემსი, ჩვენს ბედს ძალი არ დაჭყეფს. ასე რომ სადგომს გარეშე მყოფთაგან ჩვენი პიროვნება ხელშეუხებელია.

ერთი თვის ბატკანი.

კრუშევანი.

— რაკი ეგრეა, ერთ ურიას ადარ დაგახებებთ!!!

ᲓᲠᲐᲛᲐ.

—

გამოაცხადეს გურიას:
მოკრიბეთ დრამა ფულიო,
მაგრამ ხალხისა რისხვამა
მღვდლებს შეუწუხა გულიო:
„თუ რომ ავიღოთ წაგვმწარდეს,
ხალხმა არ შეგვარჩინოსო:
დაგვარტყან ბოიკოტები,
აღარ გვასმევდენ ღვინოსო;
ჯვარისა საწერს, სანათლავს
შეგვიმცირებენ ფრიადო,
ხშირათ ყოფილა, ხუცესი
უშტატოთ გაუგდიათო“
მოხუცნი უფრო მაგრობენ,
დროს იგონებენ ძველებსა
ოდესცა ოქრო ბაჯაღლო
უხვათ ედინა ხელებსა.
„ვინაც დრამაზე ვარს ამბობს
ცეცხლშია დასაწვავიო
ავკვეთავ წირვა ლოცვასა
არ მოკვდეს ჩემი თავიო“.
დასასრულ, დრამის მოკრეფა
ვერა სცნეს შესაფერათა:
ან კი რას გარგებს ქანქარი
ოდეს მრევლი გყავს მტერათა.

კაფე.

ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ.

თუმცა ჩვენ ფოსტის განყოფილებაში არც თუ მაგრე რიგათ არის აკრძალული კერძო წერილების კითხვა და კონფისკაცია, მაგრამ მე მაინც მეხათრება ჩვენი უფროსის და გთხოვთ ჩემი ვინაობა საიდუმლოთ შეინახოთ.

ბავშვობიდანვე მიყვარდა სხვისი მიწერ-მოწერა და ფოსტაში სამსახურის დროს ეს გრძნობა უმაღლესად განიკითარდა. აიღებ ვთქვათ ამ მწვანე კონვერტიან წერილს, გახსნა წაიკითხავ და მიაგდებ. გამგზავნი კი უცდის და უცდის წერილს ვიდრე წუკს ფოთოლი გასცვივ.

გუშინაც ეგრე ვქენი, „ჩვეულება ხომ სჯულის უმტკიცესია. აიღე და გავხსენი ერთი ჩინოვნიკური ხელით ნაწერი წერილი. ჩემს განც-

ვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა. ასეთი ნაწერი ჯერ არ შენახა და არც შეიძლება ენახოს ვისმე. თითოეული ასო ცალკე მათრახსა გავდა და აქეთ იქით უწესრიგოთ იტეხრებოდა. „ძმაო მასიკო! ასე იწყებოდა წერილი. „ბრისთავის მწერალი რომ ხარ ეს არავერს გიშველის ბიძია. ჩემთან მაგეერი ჭახრაკული მახრაკული არ გაგივა. სამსახურს დაუმადლე თვარა ამდენ ხანს ტვინს ამოგიდუღებდი თავში მათრახის ტარით და სულ ცოტა რომ ვთქვათ მიგაციმბირისკარებდი. კაცი თუ ხარ ძმია სვინდისიც უნდა გქონდეს, თვარა უსვინდისო კაცს ბოლიციაში რა უნდა. შენ ერთი მითხარი: რუუკვი იგი ჩემდა კადმოსცემი ოზდა ხუთი მანათი გოგიეს კამოსაშობათ? ან თუ შენი დაჭირულია იგი ეძახი და შენ კამოუშობ?! მე შენი უსვინდისობა მაშფოთებს თვარა გოგიე და მისთანები სად წამიკ? ახლა ჯარისპანი გგვავს შეამავლათ. იუთხმეტი იუ"ანი კამოუშობს ციხიდან მეტი ვეფერი. შენ ვინცხა უტვინო ხარ შენ რას უზამ, შენ კამოუშობ? შენ კი არა ჩემს დაჭირულს თვითან დამესტნიკიც ვერ კამოხსნის ბორკილიდან. თუ ჯარისპანამ ეს საქმე მომიხერხა ერთ ოზდახუთიანს იტკუცავს ჯიბეში და ასოზდა ხუთი მანათი კაი ფულია ერთ ეაძახში. თუ ჯარისპანაც შენსავით უსვინდისოთ გეისარჯა, ვაი მის ტკავს, გოგიასთან ერთათ მივაბძანებ ვიატკის გუბერნიაში.

აგი ეკვლაკი ხომ ასთეა, მარა შენ მასიკო მწერალო, თე სამე შეგხვთი იმ 25 მანათს რავარცხა იქნება უთოოთ წაგანკალებ. რამდენი ვანმე დეკიჭირე და კავანთავისუფლე, რამდენი მოციქული მოსულა ჩემთან და ამფერი საქმე ჯერ არა კაცს არ გუუბედავს ჩემდა რავაც შენ. თუ გინახე მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ.“

ხელს აწერდა წერილზე ერთი ჩემი ნაცნობი და თავის საქმეში ფრიად დახელოვნებული ბოლიციელი ბირი ანუ. რადგანაც წერილი ჩვეულებრივი იყო, ისევ ჩავდეკი, დავკეტე და უკანვე გავაგზავნე. ამის შემდეგ კიდევ გავხსენი ერთი ორი, მაგრამ ამათი შინაარსი შემდეგისათვის იყოს.

ფოსტის მოხელე ნ ო რ დ კ ი ნ.

ქეშმარიტ რუსთა დიპუტატები.
1. თავადი. 2. ვაჭარი. 3. გლეხი. 4. მუშა.

წერილები ეშმაკისადმი

—

ძმაო ეშმაკო!

შენ, ქვედა-ბახვი იცი მგონია;
სახელი მაინც გაგიგონია.
და რომ ამ ბოლოს არ ინახულე
ეს ვერაფერი მოსაწონია.

ახლა კი ვიდრე შენ შავ ფრთებს გაშლიდე ჩვენს მიდამოში, მე მოგიყვები აქაურობის ამბავს.

შენ კი, ძმობილო,
მომაპყარ ყური
და გამიწიე
ეს სამსახური:
შენი საყვირით მოსდე ქვეყანას
ჩემი წერილი გენიოსური.

ჩვენში შესდგა ერთი ახალი პარტია; სახელით ახალი, თორემ ნასაკირალის მახლობლათ ყოველთვის ჰქონდა ნიადაგი ასეთ პარტიას. ისინი თავის თავს „რევოლიუციონერებს“ უწოდებენ. ამ პარტიას ჯერ-ჯეროობით 50 წევრი ჰყავს და ცნობილი მეთაურებიც განაგებენ. იცოდე ეშმაკო, რომ პარტიაში სულ წარჩინებულ ხალხს იღებენ: აზნაურებს, სამღვდელოებს და თუ ძალიან დამსახურებულია, გლეხებსაც. იმათი პროგრამაც ჩინებულათ შედგენილია:

1. მდიდარს წაერთვას, ღარიბს მიეცეს.
   შენიშვნა: მდიდარია ყველა, ვინც შიმშილით არ კვდება, ხოლო ღარიბი არიან თვით წევრნი პარტიისანი.

2. არა წევრს პარტიისას წაერთვახ ჩაქერა, ვითარცა სამოსი მისთვის შეუფერებელი.

შენიშვნა: უწინარეს ყოველთა კონფისკაცია მოხდეს ანტონ ჩხიკვიშვილისას.

3. ხელი შეუშალონ არჩევნებს.

შენიშვნა: ამა მიზნით გაიწიოს შავრაზმული აგიტაცია.

4. ფულის პატრონთაკან „ისესხონ“ ქანქარი, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდეს კონფისკაცია ქვირფას ლითონთა

შენიშვნა: ამ მიზნით გაიმართოს მოლაპარაკება ცხემლის ხიდზე მონაზონთან და ა. გიორგაძესთან.

ამ პარტიის მოღვაწეობა ძმაო ეშმაკო, ერთობ საყურადღებოა და აბა შენ იცი, როგორ აცნობ ქვეყანას და მით წევრთა რიცხვს შემატებ. ღვთის მშობლობას რომ წარმოდგენაზე მიგვიტყუეს ზედა ბახველებმა და შემდეგ პირში ჩალა-გამოვლებული და ტალახში ამოვლებული გამოგვიშვეს, ამაზედაც მოგწერდი რამეს, მაგრამ ეს ზედა ბახვს ეხება და ჩემს დაპირებაში არ შედის. ქვედა-ბახვის შესახებ კი მეტი რაღა მოგწერო; მაგრამ არა! შენ ალბათ გინახავს იქ რომ პატარა ქვის ეკლესიაა? თუ ძმა ხარ იმის ახლო არ გაიარო, თუ ჩვენში გზა დაგირჩეს. იქ ერთი მღვდელი ცხოვრობს წმინდა ბარნაბე. ის ლოცვითა ღვთისათა იჭერს ეშმაკებს ჰაერში და აწამებს. არც ქალათ მოეჩვენო, თორემ ქალებსაც იჭერს, ვინაიდან მათდამი დიდი ლტოლვილება აქვს. ერიდე ძმაო, ერიდე. სიფრთხილეს თავი არა სტკივა. ახლა კი მშვიდობით. მოკითხვა ჩვენებს.

მარადის შენი კაკაბი.

II.

ამხანაგო ეშმაკო!

ყველაფერი გინახავს და ალბათ თელავის სასტუმროებიც გენახვება! თუ არ გინახავს, გირჩევ ერთი ამოფრინდე. ძმობას გეფიცები არ წააგებ! შენ „პრიკლიუჩენიები“ გიყვარს და ერთ მთვრალ თავადს უთუოდ გადაეყრები ამ კურთხეულ ქალაქში. ღვინო სასტუმროში უთუოდ წითელი უნდა მოითხოვო, თორემ აქაური კნიაზები თეთრს არა სვამენ. ეს იმიტომ, რომ სისხლი უყვართ, მეტადრე როცა ღვინის გავლენას ემორჩილებიან.

ის კნიაზი რუსიევი, რომელმაც ჩემზე მოახდინა შთაბეჭდილება, შესანიშნავი ღვინის მსმელია. შეიძლება ჩვეულებისამებრ კიდევაც ავყიად დაიწყოს შენთან მუსაიფი და მშობლებ-ნათესავები კურთხევით მოგიხსენიოს, მაგრამ ეს არ იწყინო. ყველა ამას კეთილი გულით გიშვებიან. შეიძლება ისიც გამოკითხოს, თუ ვინა ხარ, ან რა საქმეზე ჩამოსულხარ, ან რა მიმართულებისა ხარ, მაგრამ კიდევ გაფრთხილებ, ყოველივე ეს „დაპროსი“ საფრთხეს არ წარმოადგენს და პოლიციის მიმართ რომ წარიგრაგნოს, ფერხთა მისთა ინსტიქტიური მიდრეკილებისაგან კვალად სადმე სამიკიტნოში მიირგვების.

შეიძლება ჩემმა ნაამბობმა შენ კიდევაც დაგაფიქროს, მაგრამ არ შედრკე. ვიდრე მთვრალი კნიაზი არ მოიწევს შენდა მიმართ, მანამდე ფიქრი ნურაფრისა გაქვს; ხოლო თუ მოიწიეს, დაუტევე სადილიცა და ვახშამიცა და მიიქეც სადმე. ყველას აჯობებს დარდის გასაქარვებლათ ნადიკვარიდან გადახედო ალაზნის პირზე გაწოლილ მშვენიერ კახეთს, რომელსაც ახალი თოვლით შეფენილი კავკასიონის კალთები ნაზათ თავს დაჰყურებენ.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

ასკანა. დაუფასებელი ღვაწლი დაგვდვა ივანე ნინიძემ. თითქო კალანდა ღამეაო, ასტეხა შელუღი და მთელი სოფელი დააფრთხო. ამით გაბრაზებულ უცნობებს ნინიძისათვის თოფი ჩამოურთმევიათ. საქმეს კანონიერი მსვლელობა მიეცა. 11 ენკენისთვეს მიუხედავათ იმისა, რომ იარა-

ღი დაუბრუნეს, ივანე ოზურგეთად მიიქცა და მუნით მოგვევლინა რაზმი. გვთხოვენ 2000 მანეთს.

ერთობის დროს ივ. ნინიძემ სტრაჟნიკობას თავი დაანება და სახალხო ფერხულში ჩაერია. მაგრამ რეაქციის დროს კვალად მიიქცა პოლიციისაკენ. ასეთ „ისტორიას“ მაინც არ მოელოდენ მისგან.

სკვინჩა.

—

სოფ იანეთი. (სამტ. რაიონი) იანეთში ღვთის მშობლის დღეობას ძლიერ ბევრი საზოგადოება დაესწრო. რაღაც „ხლაფორთად“ ბოქაული გამორჩენოდათ დაუპატიჟებელი და ამ გარმოებას მისი პიროვნებისათვის რასაკვირველია უკმაყოფილება მიეყენებია. ბოლოს გადაუწყვეტია: მე რაღა დაპატიჟება მჭირია, ჩემითაც კი მოვალო და მართლაც სწვევია სოფელს; ბევრი მათგანი, რომ არ დამთვრალიყო დაუჭერია. ხოლო სხვები განურჩევლათ სქესისა მათრახის შეხებით დაურიგებია და წასულა ფრიად ნასიამოვნები.

შევარდენი.

—

ყვარელი. ყვარელის ამბები გაზეთამდე იშვიათად მოაწევენ ხოლმე და გაზეთი ხომ უფრო იშვიათად იზამს პირს ჩვენი სოფლისაკენ.

ამ წინაზე ერთი სასაცილოთ ამბავი მოხდა აქეთ. ამბავი სასაცილო გათავდა, თორემ დაწყებული არ იყო ამ მიზნით.

სამ შანტაჟისტს: გარეგინ ფარსადანოვს, არუთინა სარქისოვს და გრიგოლ გელანიძეს გროშები დასჭივრებიათ და უფიქრიათ:

ეგ რევიშვილი მიხეილ
ახალთაობის მტერია‘
მივიდეთ უთხრათ, ან მოვკლათ
ან ფული მოგვცეს ბევრია.

მართლაც მივიდენ და სოციალ დემოკრატების სახელით რევიშვილის ცოლს ფულები მოსთხოვეს. ქალი შეშინდა და ტირილი დაიწყო. ქმარს უმალავდა, მაგრამ ბოლოს მთელმა სოფელმა შეიტყო. შანტაჟისტები დაიჭირეს და

ჰკითხეს თუ ძმაო თქვენა ხართ
ახალთაობის პირები,
ბარემ გვითხარით რაცა გაქვთ
ამბავი დანაპირები.

მაგრამ მოგეხსენებათ ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, ცრუ სოციალ დემოკრატები მაშინვე გააბეს მახეში,

ატარეს სოფელ სოფელა
სამთავე კუპრით ცხებული,
ხალხი კი უკან კიჟინით
მისდევდა გაოცებული.

ბევრიც სცემეს საწყლებს· ის კი არა ჩაქოლვასაც კი უპირებდენ, სოფლის უფრო შეგნებულ პირებს რომ არ დაეშალათ.

დაჩაგრული.

—

ხაშმი. ხაშმის პაგრომი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ცნობილი შავ-კანიანი აგიტატორი,

შარშან წინ, პირშერცხვენილი
წელს კვალად გამოჩენილი,

არ ცხრება და უნდა ხიზნების სინსილა გააწყოს ხაშმის არე მარეში. აგიტატორმა არ იცის, რომ ეს დროებითი მღელვარება ხალხისა გაივლის და მერმე მასვე მოსთხოვენ ანგარიშს თავისი უმსგავსო საქციელისას!

დღეს დღეობით კი, იოსებ
იმედაშვილათ რქმეული
კვალად ამხედრებს ძმას ძმაზე
გონება გამოლეული.

თუჯი.

გზა და გზა.

ლანჩხუთი ისე ბარგს ვერსად გააგზავნი ჩვენი სადგურიდან, რომ სერგომ არაფერი შეგაცინცლოს. მაგრამ შეცინცლას ვინ ჩივა ორი სამი დღე რომ არ გაგაჩერებდეს და საქონელს არ წაგიხდენდეს. ათასნაირი გადასახადით გატეხილ ხალხს თუ კი რამე იშოვა გასაყიდათ მიაქვს, თუ მოახერხა და გაიტანა.

სპარსეთის კონსტიტუცია.

ღია წერილი.

ქრისტეს მიერ საყვარელო, სულიერო შვილო, მიმინო!

წარიკითხავდი რა ეპისტოლესა შესახებ ჩემსა, ვითარ მე ცოდვილმან ვადიდე უფალი ჩემი და ეკლესიასა შინა წმიდასა წარმოვსთქვი სიტყვა იგი წმიდისა საბარებისა, რომელსა იტყვის: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი და მტრისა შენისა იგდე კეთილსა“. ვიეთნიმე ბოროტმან მონამან განარისხა უფალი ჩემი და ცილი მწამა მე და უგუნურმა მან გულსა შინა სთქვა; რამეთუ მონა ღვთისა მელქისედეკ ბოროტ არს და ერსა მას უქადაგებს აზრსა არა კეთილსა. აწ მოვილტვი შენდამი, სულიერო შვილო ჩემო მიმინო, და გაფუცებ წმიდასა მას ეკლესიასა პასუხ უგო მტერთა ჩემთა და „შურდულსა“ შინა, რომელი ეპყრია წმიდასა მას წინასწარმეტყველსა და მეფესა დავითს, რომლითა ძლევა აქვნდა ფილისტიმელთა გოლიათსა ზედან, აღახვნე ბაგენი შენი და განარინო არა წმინდანი სულნი იგინი ჩემგან. ვინაიდან არა ძალმიძს მე ლექსთა თხუზვა და რუსულისა წერა, ვითხოვ შენდა, სულიერო შვილო, ჩემდა მაგიორ ლექსითა უგო პასუხი მტერთა ჩემთა.

—

ღირსო მამაო, მელქისედეკ!

გისრულებ თხოვნასა შენსა და პასუხს უგებ მტერთა შენთა **აკროსტიხითა** ამითა, რომელსა იტყვი შენ:

ოხ, რა დროება დაგვიდგა
ზეკა გვენგრევა თავზედა,
უფალი ცაში განრისხდა
„რევოლიუციის“ ხმაზედა!..
გრგვინავს და გრგვინავს სამყარო,
ეხლება მთანი მინდორსა,
თავზარს სცემს ყველას ეს ხანა
იესოს სწავლის მიჰყოლსა.
სარწმუნოება დაეცა,
მოისპო ქადაგებანი;
აღარავის სწამს წმინდანნი—
ზეცისა საკვირველებანი!..
რისხვით დამექცეს ცა თავზე
იესოს თუ უღალატო,
საბარებისა მოძღვრება
მარადის თუ არ შევაქო!..
იესო ტკბილის მოძღვრება
სიყვარულს, ძმობას ქადაგებს;
ის კი, ვისც იგი არა სწამს
ოჯოფოობს, წმიდანთ აძაგებს!..
ნაცვლათ წმიდისა სჯულისა
ენგელსს და მარქსსა სწამო?ენ,—
რელიგიისა აღმოფხვრას
ისინი გულით ლამობენ!..
მარქსის „კაპიტლის“ ხსენება,
ენგელსის დიდი მოძღვრება,
ლასალის აბდა უბდაზე—
ქრისტეს არსად აქვს ხსენება!..
იესო მხოლოდ გვასწავებს:
სიკეთე უყავ მტერსაო;
ეცადე მადლობა უ?ხრა—
დეე, გამტვრევდეს ყბებსაო.
ეკლესიასა წმიდასა
ქრისტეს სახლს, მისსა სადგომსო
ნუ შეურაცხყოფ, ნუ დაჰგმობ
არსად და არა რა დროსო!...
კაპიტალისა კითხვაში
აღარვის ახსოვს საყდარი,
შაურათ ქრისტე გაჰყიდოს
იმათგან ყველა მზათ არი.
ძლევა მოსილი მოძღვრება
ერთი მიბრძანეთ სად არი?!...

შენი სულიერი შვილი
მიმინო.

საპრემიო გამოცანები

——

გამოცანას მოგახსენებთ
არცა ერთსა, არცა ორსა.

1.

ის რა „სოციალისტია“
რომ ავრცელებს მხოლოდ ჭორსა,
რომლის მსგავსიც არც ნახულა
არც გორსა, არც ახალგორსა?

2.

ის დარბაზი რა სახლია
ან რა სკოლა, რა გოდოლი,
სადაც აღმზრდელ „პედაგოგებს“,
კრივობაში არ ყავთ ტოლი?

3.

ის ვინ არის „ნიშადურში“
რომ ასწვია კუდის რიკი?
შხამს და ბაღლამს ველარ არჩევს
ის უნიჭო სატირიკი?

4.

ის „პოეტი“ ვინლა არის
ვის მგოსნობა აკლდეს სრულათ,
საქართველო ევიწროვოს
„ნიშადურში“ იყოს სრულათ?

5.

იქნებ ესეც გამოიცნოთ:
ვინაა ის „წინამძღვარი“,
რომლისაგან ამრჩევლები
არის მუდამ განამწარი?

—

ჯერ ეს ხუთი ვიშუოფინოთ
სხვა შემდეგ ვსთქვათ მსგავსი მისი
ისიც ვნახოთ; ვინ გახდება
ჩვენი პრემიების ღირსი.

ეშმაკი.

ბათუმის ავან-ჩავანი.

(„კიწავას“ სააგენტო).

მოხსენება. მოსკოვის საპედაგოგო კურსებზე ქალაქის მიერ გაგზავნილი პედაგოგი ირაკლი ღლონტი უკვე დაბრუნდა და გასულ კვირას ბულვარში ვრცელი მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, თუ რა გზით შეიძლება მოსკოვში იაფ-ფასიან „კლოკის“ შეძენა. მსმენელნი ხანგრძლივ ტაშის კვრას იქმოდენ.

კონტრაბანდა. ბათუმის ორ კაპეიკიან (წაკითხვის ქირაა) სამკითხველოში ერთ მკითხველთაგანს ჯიბეში აღმოაჩნდა კეთილ შენაძენი „შურდული“ და „ჩვენი გზა“. ამის გამო სამკითხველოს გამგე კომიტეტმა, მკითაველის წასვლის შემდეგ, ოთახში აიაზმა მოასხურა და გაწმინდა იგი.

ბოიკოტი სოციალისტებისადმი. „მრავალ რიცხვოვანმა“ ბოიკოტისტ-ფედერალისტების ძლიერმა პარტიამ გადასწყვიტა სოც.-დემ. წინააღმდეგ სათათბიროს დეპუტატათ გაიყვანოს ჭეშმარიტი ქართველი „პროგრესისტი“ პაპა მჭედელოვი.

სტატისტიკა.

ბათუმში აღმოჩნდა ფრიად ნიჭიერი მწერალი, რომელმაც „Черн. Вѣст.“-ის 18 სეკტემბრის ნომერში, ვრცელ წერილში ცხად ჰყო, რომ ქალაქს ოთხი პირველ-დაწყებითი სკოლა აქვს. მოკლე ხანში იგივე მწერალი შეაგროვებს მასალებს იმის დასასაბუთებლათ, რომ ბათუმში სავაჟო გიმნაზია მხოლოდ ერთია.

(„ბლიკვაძის“ სააგენტო).

რა არ არის ბათუმში? ბათუმში ქალაქის თვითმართველობაში არც ერთი სეკრეტარი არ არის ისეთი, რომელიც არჩევნების შესახებ მსურველთ ცნობებს არ აწვდიდეს.

— ბათუმში არცერთი სანიტარული ექიმი არ მოიძებნება ისეთი, რომელიც ხოლერისა და ჯამაგირის გაორკეცების მოლოდინში სიხარულს განიცდიდეს.

— ბათუმში, ქალაქის თვით მართველობის შენობაში არც ერთი ბიბლიოთეკა არ არის ისეთი, სადაც „შურდული“ და „ჩვენი გზა“ არ იყოს გამოწერილი.

— ბათუმში არც ერთი მოქალაქე არ მოიძებნება ისეთი, რომელსაც ფულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაცინცლავათ შანტაჟისტებისაგან მუქარის წერილი მისვლოდეს.

— ბათუმში არც ერთი საავათმყოფო არ არის ისეთი, სადაც პირველი ალაგი არშიყობას ქონდეს დათმობილი.

— ბათუმში არც ერთი თვითმართველობა არ არის ისეთი, რომელსაც ამრჩეველთა რიცხვის შესამცირებლათ საარჩევნო სიების მოსრულების ვადა იმდენათ შეემოკლებინოს, როგორც რუსეთის სხვა თვითმართველობებში.

რა არის ბათუმში. ქალაქის თვითმართველობა უკვე შეუდგა „კონკის“ გზის გაყვანას და მალე ბათუმი „კონკიანი“ იქნება.

— სახალხო უნივერსიტეტის შენობა თეატრისა და თავშესაფარის განყოფილებებით უკვე დამთავრდა.

— ქალაქმა საკუთარი აფთიაქი უკვე შეიძინა. პროვიზორათ ბიჭია იმედაშვილია მოწვეული.

— უკვე დამთავრდა და დღეს ამშენებელ კომიტეტის წევრმა ივლიანე ლომინაძემ აკურთხა ქართული ეკლესია. მღვდლათ დეკანოზი რალცევიჩი დაინიშნა.

ა ნ ე კ დ ო ტ ი.

მოსწრებული პასუხი.

მეგობრული საუბრის დროს ერთი ნაცნობი შეეკითხა თურმე იალტის გმირს გენერალ დუმბაძეს.

— რატომ აწიოკებ კნიაზ ამ მშვენიერ ქვეყანას და რას ერჩი ამ უდანაშაულო ხალხს?

ამ კითხვაზე გენერალი გამხიარულდა და სახეზე პატრიოტული გრძნობა აუთამაშდა.

— რატომ? რავა რატომ ძამია! თუ მაგი დედა-გაგლეჯილები იქანა ჩემს გურიას ისეთ წვავენ და ბგალავენ, მე ვერ დუუნგრიე და დუუბგალე სამაგიეროთ? ისეთ რავა ღმერთი გამიწყალა!!

— კი მაგრამ აქ ერთი სახლი დაწვი და იმის ფასიც ქე გადაახდევინეს ხაზინას, ჩვენში კი სოფლებს წვავენ და კაცს არაფერი შეხვედრია ჯარიმის მეტი; ეს როგორღა არის?

— ახლა მაიც მე ვიდარდო შე დალოცვილო?! მე ერთი ვიცი: დაგვიწვენ დუუწვავ, დაგვინგრევენ დუუნგრევ, აგვიკლებენ ავიკლებ.

ასე იცოდა თურმე ცხონებულმა აკეთის მამასახლისმა. როდესაც მასთან მიდიოდენ სამართლის მისაღებათ ის ეუბნებოდა: „მე რა გიქნა ყაძახო; გაგირღვიოს ღობე — გუურღვიე, დაგარტყას — დაარტყი, გესროლოს — ესროლე, მოგკლას — მოკალი; აბა რომელ კანონში სწერია წადი და მამასახლისი დაარჩვეო“.

უცხო სიტყვების ახსნა.

(იხილე „შურდული“ № 2)

ოცნება — ცხადი სიზმარი. სხვა და სხვა ქვეყნის ხალხი სულ სხვა და სხვა გვარათ ოცნებობს. რუსეთის ხალხს შეუძლია იოცნებოს მხოლოდ თავისუფლებაზე, კონსტიტუციაზე პურზე და სამუშაოზე.

ოხვრა — გულის მოსაოხებელი სიმღერა. მღერიან მაშინ, როცა კუჭი შიმშილით ეწვით, ან გაჭირვებულნი არიან.

ორსული — რუსეთის ბიუროკრატია. თუმცა გვიან, მარა მეტი გზა არ არის უნდა განთავისუფლდეს მშობიარობისგან. მშობიარობა მეტათ ძიელი იქნება, უეჭველია თან გადაყობა.

ოპორტიუნისტი — ე. ი. ორტოდოქსი.

პატიმარი. პატიმარი ქვია იმ ადამიანს, რომელიც ერთ ადგილს არის დაპატიმრებული და ყოველივე უფლებებს მოკლებულია. არის პატიმარი კერძო (სატუსაღოებში) და სახელმწიფოებრივი (სახელმწიფოში) როგორც მაგალითად რუსეთში. პირველი არის მეორეში, მეორე პირველში.

პატიოსანი. ბურჟუაზიული ენით პა-

ტიოსანი ქვია იმ კაცს, რომელიც ქურდობს, ყვლეფს, სტყუის, ღალატობს და სხვა, მხოლოდ ყველა ამას ისე მოხერხებულათ ჩადის, რომ ვერავინ ვერ იგებს.

პატენტი.—არის პატენტი ინტელიგენტური და ვაჭრობითი. პირველის ხელში ჩასაგდებათ საჭიროა გაირბინო გიმნაზია, ისე რომ კედლებს არ გადმოხედო და შეხვიდე უნივერსიტეტში (თუ დიდი პატენტი გინდა) გაიარო უნივერსიტეტის ყველა ოთახები, იყო მონა ღვთისა, ერთგული მთავრობისა და ჩინოვნიკობის უნარი გქონდეს. ხოლო მეორესთვის საჭიროა ბევრი ივაჭრო, ცოტა გაყიდო და ბევრი მოიგო.

პატრონი—პატრონი ქვია იმ ადამიანს, რომელსაც რაიმე ნივთი ეკუთვნის. შეიძლება ერთ ნივთს ბევრი პატრონი ყავდეს ავიღოთ თუ გინდა გლეხი. გლეხი ისეთი ნივთია, რომ მისი პატრონია მღვდელი, დიაკონი, მემამულე, მევახშე, ბოქაული, გუბერნატორი და მინისტრი.

პანღური—პანღური შეიძლება იყოს სიტყვიერი და ფეხიერი. ზოგს ერთიცა და მეორეც ეტკინება, ხოლო ისეთებიც არიან, რომ არ ერთი ეტკინება და არც მეორეც არა თუ ეტკინება არც კი ეწყინება. ალბათ მაგარი კანი აქვთ.

პეტრე—შეიძლება იყოს პეტრე მაძღარი და პეტრე მშიერი. მაძღარი პეტრე მაძღრებისკენ მიიწევა, ხოლო მშიერი მშივრებისკენ.

პილპილი ლიტერატურული—ლიტერატურული პილპილი არის, ბანაკიდან ბანაკში გადამრბენ-გადმომრბენ ლიტერატორის შესახურებელი წამალი.

პოლიტიკა—საჭმელი, რომლის ჭამა არ შეუძლია არც ჩინოვნიკს არც მოსამსახურეს, არც მღვდელს და არც ბერს. პოლიტიკის ჭამა შეუძლიათ მხოლოდ იმათ, რომლებიც მოისურვებენ სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრებას.

პროვოკაცია—უებარი წამალია პაგრომების მოსახდენათ.

პეტერბურგი—დუმის მოსაწვევი და გასარეკი ადგილი.

პროტოდიაკონი—არის უბრალო დიაკონი და პროტოდიაკონი ე. ი. დიდი დიაკონი. უბრალო დიაკონი, როგორც პა-ტ ტრა დიაკონი ცოტას სჭამს და პატარა მუცელი აქვს, ხოლო პროტოდიაკონი, როგორც დიდი დიაკონი ბევრს სჭამს და დიდი მუცელი აქვს. უბრალო დიაკონი შაურსაც დასჯერდება საჩუქარს, ხოლო დიდი მანეთზე ნაკლები, რომ მისცე დედამამის სულს ამოგიყრის.

პარვა—გადამდები სენი, რომელიც გავრცელებულია მოხელეებში, მოიჯამადრეებში, საქონლის სადგურებში, ვაჭრებში, სასულიერო პირებში, და სხვაგან.

პარლამენტი—პარლამენტი არის ევროპიული და რუსული. ევროპიულ პარლამენტებში ხალხის წარმომადგენლებს უფლება აქვთ კანონმდებლობით მუშაობის, ხოლო რუსეთის პარლამენტში კი გარეკის და ციხეში წასვლის. მეორე პირველს მით სჯობნის, რომ სესსია დიდხან არ გრძელდება და ყოველივე კითხვას, თვით პარლამენტის ყოფნა არ ყოფნისას, ჩქარა და ადვილათ სწყვეტენ.

პარტია.—დახურდავებული მანათიანი.

პატრიოტიზმი.—სამშობლოს სიყვარული, რაიც იმაში გამოიხატება, რომ ხელი შეუწყო სამშობლოს დანგრევას, ყოველივე უსამართლობას და ბოროტებას. კერძოთ—ებრაელებზე თავდასხმა პაგრომების მოხდენა, სომეხ-თათართა ჟლეტა, თავდასხმა, ცემა-ტყეპა და კაცის კვლა.

პლაგიატი.—ლიტერატურული ქურდობა. ლიტერატურული ქურდობა მაშინ არის პლაგიატი, როცა პუბლიცისტურ ნაწარმოებს იპარავ, ხოლო როცა დრამატიულს ან იუმორისტულს პლაგიატი არ არის.

(შემდეგი იქნება)

შავ-რაზმელები წერილს სწერენ სპარსეთის შ. ჰს კონსტიტუციის შემოღებისათვის.

დეპეშები.

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲐ. გახუნებული ინტელიგენტები ენერგიულ აგიტაციას ეწევიან დაეჭვებულ მუშებში არტელის სასარგებლოთ.

ᲮᲝᲜᲘ. ივანე შარაშიძე და ექიმი ჩხიკვაძე კერძო უნივერსიტეტის გახსნას აპირობენ ხონში.

ზოგიერთი რეფორმები სემენარიაშიაც შემოიღვს. მაგალითად. დააწესეს კარგა მოზრდილი გადასახადი მოსწავლეებზე.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. სტიპენდიების საქმე უკვე დასრულდა. ვარადებულ აფაქიძეს თორმეტ შვილთაგან მხოლოთ ერთს დაენიშნა სტიპენდია. სამაგიეროთ ფული სტიპენდიანტებს 3—4 წლის შემდეგ მიეცემათ, რადგან მიღებული უკვე დახარჯულა და ახალის მიღებას დააგვიანდება.

ᲓᲣᲛᲔᲗᲘ. აქეთ ხმები დაჰყარეს თითქო მესამე დუმის მოწვევას აპირებენ და ამისთვის არჩევნებს მართავენო. აქეთ ხალხი იმდენათ მომზადებულია, რომ ასეთ ჭორებს აღარავინ უჯერის.

ᲐᲑᲐᲨᲐ. გაზეთები არ ბეჭდავენ თორემ მუდამ დღე იგზავნება აუარებელი ცნობა ჩვენი ადმინისტრაციის ერთგული სამსახურის შესახებ. ყველაზე მეტათ სტრაჟნიკ-ბოქაულები არიან ღირსი.

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. ადგილობრივი ს. ფ. პარტია ამავე პარტიის ც. კომ. დადგენილების მიხედვით სახელმწიფო დუმის კანდიდატათ ერთს ადგილობრივ შეძლებულ ვაჭარს ასახელებს, ვინაიდან უმჯობესია ასქართველოდან თუნდაც მოხულიგანო დეპუტატი გავიდეს ვიდრე სოციალისტი.

ᲤᲝᲗᲘ. გაზ. ისარის მოწოდებამ არა სოციალისტი დეპუტატის გაგზავნის შესახებ ძლიერ ასწია იონა მეუნარგიას „შანსები“. ხალხიც მიეგება „ადგილობრივი სოციალისტების“ ამგვარ ჩამოქვეითებას და მთელი ადმინისტრაციაც აპირობს ამ გაზრახვისათვის მხარის დაჭერას.

ᲨᲣᲠᲓᲣᲚᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲐ.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ. გ. ეკალს. თქვენი ლექსი „უეჭველია“ უეჭველათ ვერ დაიბეჭდება. ჯერ ერთი შინაარსი მრავალ გზის გადაცხნილია სხვა და სხვა მელექსეთაგან და მეორე, ლექსათაც ხომ არ ვარგა. თქვენ თითონ ამბობთ, „ჯერ-ჯერობით ვერ შევიძელი ლექსის რითმებზე დაწყობაო“ და ჩვენი რჩევაც ის იქნება, რომ თავს ძალა არ დაატანოთ რითმებზე ლექსის წყობაში,

ᲡᲝᲤ. № იმ მწერალს, რომელმაც გვთხოვა, ჩემს სახელს ნუ დაბეჭდავთო. თქვენი ლექსი „საუბარი გიჟმაჟებიან“ არ დაიბეჭდება. იმისი შესწორება მოუხერხებელია. ჩვენ დიდის სიამოვნებით გიკადრებთ, თუ თქვენ თქვენი დაპირებისამებრ „საინტერესო აზროვნებას“ გამოგვიგზავნით. ახლა გამოგზავნილი აზროვნება ვერაფერი საინტერესოა; აი ნიმუში:

„ცისა და ქვეყნის მებრძოლი
არის ვირი, გაუწვრთნელი;
მან არ იცის დროთა ბრუნვა,
მისგან ბრჭყალი ულრდნელი“.

მაშ ეს გადავდოთ და შემდეგისათვის უფრო „საინტერესო აზროვნებას“ დავუცდით.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ. არჩილას. თქვენი წერილი (ლექსი) არ დაიბეჭდება. რადგან მართლაც ვინ არ იცის:

„თუ ისარი
კუდ მომწვარი
რაებს ბოდავს
რაებს როშავს;“

და გარდა ამისა, რომ ესა და სხვა მრავალი თქვენი თქმულება საზოგადო აზრია აღნიშნული რედაქციისა. შესახებ, რაღა საჭიროა მისი ხელმეორეთ გამეორება. ამასთანავე ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ზემორე ხსენებულ რედაქციასთან კამათი. ჩვენი წილიც გვეზარება და თქვენ „ახალი ქვეყნის“ მაგიერაც გვიკვეთთ.

ღმერთო გვაშორე,
ღმერთო გვაშორე.

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲐ კაკილას. რამდენი მელანი დააშრო ამ ჰიათურის საათვმყოფოზე კამათმა და ნუ თუ საქმე კიდევ ამ პირობებშია? ახლა ვერ ვბეჭდავთ თქვენ წერილს იმ თაყაიშვილის შესახებ.

ᲰᲘᲐᲗᲣᲠᲐ. ჟიჟოურელს. ბოქაული კედია კი არა ვიღაც გერმანელი კოროლიც კი გადმოაგდო ცხენმა, მაგრამ დიდი არაფერი მომხდარა. თქვენი შენიშვნა ამგვარათ არ დაიბეჭდება. უმჯობესი იქნებოდა თქვენში განზრახული არტელის შესახებ მოგეწერათ რამე.

რედაქტორ გამომცემელი ს. თავდიშვილი.

ელექტრო-ბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ მიხეილის პროსპექტი, № 65.